პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 12 თებერვალი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი მეომარი

32 (1027)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ელხმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## მივიღოთ მხურვალე მონაწილეობა.

უკვე რამოდენიმე დღე გადის მას შემდეგ, რაც დაიწყო ჩვენშიც საბჭოების ხელახალი არჩევნები. მიღებული ცნობების თანახმად, არჩევნებში მონაწილე მუშებისა და გლეხების აქტივობა ამ ჟამად გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ეს იყო წარსულ წლებში. არჩევნების დამთავრებამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო დარჩა.

ამ ჟამად ჩვენი ნაწილების განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულ უნდა იქნას სოფლებზე, რომ ნაყოფიერად ჩატარდეს აქ საბჭოთა ხელახალი არჩევნები. ყოველი წითელი არმიელი, ცვალებადელი, შვებული და წვევამდელი დაინტერესებული უნდა იყოს იმით, რომ ამ არჩევნების დროს აღარ მოხდეს ისეთი შეცდომები, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში.

ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ამ არჩევნებისაგანაა დამოკიდებული სოფლის საბჭოს მომავალი მუშაობა. ამიტომ ჩვენი მოვალეობა იქნება მივიღოთ მხურვალე მონაწილეობა არჩევნებში და ავირჩიოდ მასში ისეთი პირები, რომლებიც სარგებლობენ ავტორიტეტით ადგილობრივ მოსახლეობაში და რომლებიც გაატარებენ ცხოვრებაში ჩვენი ხელისუფლებისა და პარტიის ორგანოების დადგენილებებს. უნდა მივაღწიოდ იმას, რომ საბჭოებში მართლაც მოხვდნენ საქმიანი პირები უპარტიო გლეხებისგანაც. უდაოა რომ, საბჭოს კარგი შემადგენლობა კარგად მოაწესრიგებს სოფლის ყოველგვარ საკითხებს, როგორიც არის; სასოფლო სამეურნეო გადასახადს, სწავლა-განათლებას, წითელ არმიელების შეღავათების გატარებას, დახმარებას წითელ არმიელთა ოჯახებზე, კოოპერატივის მუშაობას, გზების და ხიდების გაკეთებას, გლეხობაზე სესხის გაცემას და სხ. მრავალს.

ყველა ამ საკითხების მოგვარებაში სუსტი და უმოქმედო საბჭო ვერაფერ ნაყოფს ვერ მოგვცემს, და პირიქით, კიდევ უფრო უკან დახევს და არევდარევს სოფლის საქმეს.

ჩვენ ამ ჟამად არ მოგვეპოვება ცნობები, თუ რა მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ნაწილების უფ-პოლიტ-შემადგენლობა, წითელ არმიელები, ცვალებადელები და შვებულნი ამ არჩევნებში. დარწმუნებული უნდა ვიყოდ, რომ ეს ამხ-გები ერთი წუთითაც არ დაივიწყებენ ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეს და ადგ. საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას ამ მუშაობაში.

ამხანაგებო! მოიწერეთ თქვენს გაზეთში, თუ რა მონაწილეობა მიიღეთ არჩევნებში და როგორ ჩატარდა ის თქვენთან.

## აჯანყება პოლონეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

პოლონეთიდან ფრიად საყურადღებო ცნობები მოდის. პოლონეთის ერთ-ერთ სამრეწველო ქალაქ კალიშში მუშათა ნამდვილი სტიქიური აჯანყება მოხდა. ქუჩებში ადგილი ქონდა მუშებს და პოლიციელებს შორის სისხლისმღვრელ შეტაკებებს. მიუხედავად გაწეული მსხვერპლისა, მუშები შეეცადენ პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლებას, მაგრამ ციხე გაძლიერებულ სამხედრო რაზმებით იქნა შემორტყმული. პოლიცია ყაზარმებში დაიმალა. მხოლოდ მოსულ ახალ სამხედრო ძალებით იქმნა შედარებითი სიწყნარე დამყარებული ქალაქში, რასაც მუშათა უბნების დარბევა და მუშების ასობით დატუსაღება მოყვა შედეგად. ქალაქში ნორმალური ცხოვრება ჯერ კიდევ არ არის დამყარებული და აქა-იქ შეტაკებები მუშებს და პოლიციელებს შორის კიდევ გრძელდება.

რა ამბები უძღოდა წინ ამ აჯანყებას და რით აიხსნება ეს? ეხლანდელი პოლონეთი რომ უკანასკნელ დღეშია მისული ეს უკვე აღარავისთვის არ არის სადავო. პოლონეთი სასტიკ ფინანსიურ და ეკონომიურ კრიზისს განიცდის. ამას თვით მისი მინისტრებიც გაკივიან პარიზში, ლონდონში თუ ამერიკაში, სადაც ისინი, მათდა საუბედუროდ, ამაოდ, ფეხმოდრეკით თხოულობენ საგარეო სესხს, გვიშველეთ, ვიღუპებით.

მათი ფულის ერთეული „ზლოტი“ დღითი-დღე წარმოუდგენელად კარგავს თავის ღირებულობას, მას ამ მხრივ ვერც ერთი სახელმწიფოს ფული ვერ შეედრება. რით აიხსნება პოლონეთის ასეთი კრიზისი? პოლონეთის მთავრობის პოლიტიკით, რომელიც პანების (მემამულეების) და ბურჟუაზიის ინტერესებს იცავს. გლეხთა საკითხი პოლონეთში დღემდის მოუწესრიგებელია, ის იმ მდგომარეობაშია, როგორც ჩვენში იყო ოქტომბრის გადატრიალებამდი. გარდა ამისა პოლონეთში ცხოვრობენ სხვა მცირე ერები: ბელორუსები, ებრაელები, გერმანელები, უკრაინელები და სხვები. ყველა ესენი მტრულად არიან განწყობილი პოლონეთის ეხლანდელ მთავრობისადმი, რადგან ამ უკანასკნელმა შევიწროებით, შოვინისტურ და პოგრომულ პოლიტიკით მიიყვანა ისინი ამ ზომამდე. რადიო ყოველ-დღე გვაუწყებდა, პოლონეთის ამა და ამ ქალაქში დაიხურა ეს წარმოებითი ქარხანა; ორი და სამი ათასი მუშა ქუჩაში გამოვიდა უმუშევარი. ასეთ ცნობებს სისტემატიური ხასიათი ქონდა.

ეს გარემოება მით აიხსნება, რომ ერთის მხრივ პოლონეთს დამზადებული ფაბრიკატები (საქარხნო ნაწარმოები) ვერ გაუსაღებია და მეორეს მხრით მას ახალისათვის ნედლი მასალაც არა აქვს. ეს მხოლოდ მათი შეურიგებელი და ბრმა პოლიტიკით აიხსნება საბჭოთა კავშირის მიმართ.

პოლონეთს თავის ფაბრიკატები და ნედლი მასალა შეუძლია გაასაღოს და შემოიტანოს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირში. ეს მდგომარეობა მას დღემდის ვერ შეუგნია.

აქედან ნათლად სჩანს, რომ მას მეტი გამოსავალი არ აქვს, მან ან ძირიანად უნდა შესცვალოს თავის პოლიტიკა ყველა საკითხებში ან და თავისი დაღუპვა საკუთარი თვალით უნდა ნახოს.

ამის დამამტკიცებელია ქ. კალიშში მომხდარი მუშათა აჯანყება, რომელსაც აუცილებლად სხვა ქალაქების მუშებიც გამოეხმაურებიან. მაშინ კი პოლონეთის მთავრობას ვერ იხსნის ვერავითარი პოლიცია.

ნ.

# ახალი რადიო ამბები

## უმუშევართა გამოსვლები პოლონეთში

**კალიშში უმუშევართა გამოსვლებს აჯანყების ხასიათი ჰქონდა. კვლავ ეშინიათ გამოსვლების. დაწესებულებებში აღარ მუშაობენ. სავაჭროები დახურულია.**

კალიშში მომხდარ უმუშევართა გამოსვლებს აჯანყების ხასიათი ჰქონდა.

უმუშევრები შევარდენ ქალაქის სამმართველოში და ქვები დაუშინეს ქალაქის თავს, შემდეგ გაეშურენ პოლიციის ყაზარმისკენ.

დაჭრილ იქნა 5 მუშა. შემდეგ მუშები შეეცადენ პოლიტპატიმრების გათავისუფლებას. ციხეზე გარშემორტყმული იყო ქვეითა ჯარის სამი ასეული. მუშებმა უკან დაიხიეს.

მუშებსა და ჯარისკაცებს შორის შეტაკება რამოდენიმეჯერ განმეორდა.

დაპატიმრებულ იქნა რამოდენიმე მუშა.

ეშინიათ უმუშევართა კვლავ გამოსვლის. დაწესებულებები არ მუშაობენ. ქალაქში დახურულია ყველა სავაჭროები.

## უ-პეი-ფუს არმია მძიმე მდგომარეობაშია.

უკანასკნელ ცნობების მიხედვით, უ-პეი-ფუს არმიას დიდი დაბრკოლებები გადაეღობა წინ ხონანის დაკავების შემდეგ, რომელიც წინად მეორე სახალხო არმიას ეკავა.

პარტიზანები გაფთრებით იბრძვიან უ-პეი-ფუს არმიის წინააღმდეგ და არ აძლევენ საშუალებას დაიკავოს ძველი შტაბის ბინა ხონან-ფუში.

## „დემოკრატიულ“ ამერიკაში

ნიუ-იორკში დააპატიმრეს ლიტვის კომუნისტურ კვირეულ გაზეთის რედაქტორი ბიმბა ვითომდა ანტირელიგიურ სიტყვის წარმოთქმისათვის.

## კომუნისტების დევნა საფრანგეთში.

**ანდრე მარტის 10 თვის ციხე მიუსაჯეს.**



ამხ. ანდრე მარტი.

კომუნისტ დეპუტატს ანდრე მარტის პარიზის სასამართლომ მიუსაჯა 10 თვის ციხე და 10.000 ფრანკი ჯარიმა წერილისთვის, რომელშიაც სასამართლომ დაინახა „ანარქიული პროპაგანდა და მკვლელობისადმი წაქეზება“. დააპატიმრეს და დააჯარიმეს აგრეთვე „ლ'იუ მინიტეს“ რედაქტორი ბელანჟე და რამოდენიმე რევოლიუციონური მოღვაწე სხვა და სხვა წერილებისთვის.

## ბურჟუაზიულ პოლონეთის მუხრუჭებში

**ებრაელების მდგომარეობა დასავლეთ პოლონეთში.**

ამერიკის საზოგადოება „ჯოინტი-“ს კომისიამ გამოიკვლია ებრაელთა მდგომარეობა დასავლეთ ბელორუსიაში. გამოირკვა, რომ ვილენშჩინას ებრაელთა 20.000 ოჯახს შიმშილით სიკვდილი უქადის. ბელოსტოკში შიმშილობს 18.000 მუშა ებრაელის ოჯახი, გროდნოში 1.200 ოჯახი.

საზოგადოება „ჯოინტი-“ს წარმომადგენელმა მოითხოვა საჩქარო დახმარება ამერიკიდან.

## სსრკ რკ. გზის საერთაშორისო კავშირის კომისიაში

ა. წ. აპრილში ესპანეთში გაიმართება საერთაშორისო რკინისგზის კავშირის კომისიის სხდომები. ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის დელეგატები.

## საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკება

ჰავასის სააგენტოს ცნობით საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის მოლაპარაკება დაიწყება არა უადრეს 18 თებერვლისა.

## მუშათა და წვრილი გლეხობის ერთიანი ფრონტი

გერმანიის კომპარტიის ცეკა შეუდგა ფართე კამპანიას მუშებსა და წვრილ გლეხობის შორის ერთიანი ფრონტის შექმნის მიზნით. ამ მიზნით მთელ გერმანიაში ჩატარებულ იქნება მთელი რიგი „გლეხთა წითელი კვირისა“.

## ნაწილების საყურადღებოდ.

**ჩვენი გაზეთის გუშინდელ № ში შეცდომით გამოქვეყნდა მოკლე ვადიანი ტერ-შეკრების დროის შესახებ. სწერია: მოკლე ვადიანი ტერ-შეკრება დაიწყება მარტის უკანასკნელ რიცხვებში და გაგრძელდება ორი დღე. უნდა იყოს: პირველი შეკრება მოხდება 25 თებერვალს, მეორე—6 და 7 მარტს, მესამე—13—14 მარტს და მეოთხე კი 17—18 მარტს. შეკრება სულ გასტანს 7 დღე.**

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

## შინაგან საქმეთა სახალხო კომისართა თათბირი

10 თებერვალს გაიხსნება საკავშირო რესპუბლიკების შინაგან საქმეთა კომისართა თათბირი. თათბირი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს რევოლიუციონური კანონიერების გატარებას სოფლად.

## დროებითი მთავრობის საქმეები

ლენინგრადის საგუბერნიო არქივის ბიუროში იპოვეს „დროებითი მთავრობის საქმეები“ რომლებიც ეხებიან ლენინის დაპატიმრების ცდებსა და ტროცკის, ლუნაჩარსკის, კამენევისა და კოლონტაის დაპატიმრების საქმეები გაიგზავნა მოსკოვში, ცენტრალურ არქივის განკარგულებაში.

## ლენინგრადის საგანგებო საგუბ. პარტკონფერენცია

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘ ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲕᲘᲗ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲡ.

ლენინგრადში გაიხსნა მე-23 საგუბერნიო საგანგებო პარტკონფერენცია.

მე-14 პარტყრილობის მუშაობის ანგარიშების შესახებ მოხსენება გააკეთა ბუხარინმა, რომელმაც განაცხადა:

„კონფერენციამ უნდა დაანახოს ლენინგრადის კომუნარებს, რომ ლენინგრადის ორგანიზაციაში უნდა მოხდეს განსაზღვრული მობრუნება არა ყალბი, არამედ ნამდვილ შინა-პარტიულ დემოკრატიისაკენ (ტაში).“

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

### ᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ.

გასულ 1924—25 წელში შორაპნის მაზრაში საალმშენებლო საქმეზე დახარჯულ იქნა 44.515 მანეთი, ე. ი. 50 პროცენტით მეტი წინა წელთან შედარებით.

მიმდინარე წელს მაზრის აღმასკომს განზრახული აქვს დახარჯოს ამ საქმეზე 111.563 მანეთი.

### ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ.

დაიწყო საბჭოთა ხელახალი არჩევნები ჩხარის, ხარაგოულისა და საჩხერის რაიონებში. საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად თვითეულ რაიონში წავიდა სამაზრო საარჩევნო კომისიის ხუთ-ხუთი წევრი.

### ᲤᲝᲗᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐᲖᲔ.

ფოთის შრომის ბირჟაზე 1-ლ თებერვლიდან ირიცხება 335 უმუშევარი, მათ შორის 53 ქალია, კავშირების წევრები—217.

### ᲓᲣᲚᲐᲑᲘ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ნოვოროსიისკიდან ფოთის ნავთსადგურში მოვიდა დიდძალი დუღაბი ამიერკავკასიისათვის.

# ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ.

ახალმა ცხოვრებამ განახლებულ სკოლებში შეიტანა ახალი მეთოდები, რომლებიც ძალზე განირჩევა ძველი დახავსებული მეთოდებისაგან. ერთ ასეთ ახალ მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს იქნეს ლაბორატორული მეთოდი ანუ სისტემა, რომლის მიხედვით ჩვენს ქართულ სკოლას თითქმის სამი წელიწადია რაც უხდება მუშაობა. ყოველივე ახალი საქმე დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ასეთი სიძნელე რასაკვირველია, ჩვენმა სამხედრო სკოლამაც უკვე დასძლია და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლაბორატორული სისტემა ჩვენს სკოლაში საუცხოვოდ არის დაყენებული.

ჩვენ ვიცით, რომ ამ მეთოდმა დასაწყისი მიიღო ამერიკაში ქ. დალტონში და ამიტომ მას დალტონის გეგმასაც ეძახიან.

თუმცა ეს მეთოდი საუკეთესოა, მაგრამ მან ბურჟუაზიულ ქვეყნებში იმდენად ვერ გაიდგა ფესვი, როგორც საბჭოთა ქვეყნებში.

დღეს ეს მეთოდი არის საბჭოთა სკოლებში გავრცელებული, მაგრამ ყველაზე უფრო სისტემატიური ხასიათი მას აქვს სამხედრო სკოლებში.

ყოველივე ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ სკოლის შინა-წყობილება და მდგომარეობა ამ სისტემისათვის ზედგამოჭრილია. ამიტომ იყო, რომ ჩვენ სკოლაშიდაც მან ფეხი გაიდგა. დღეს საამისო პირობებიც არის—შექმნილი.

ყოველივე სასწავლო საგანს აქ თავისი საკუთარი ლაბორატორია აქვს, შესაფერისი სასწავლო ნივთებით მოწყობილი. ტეხნიკურად ლაბორატორიები საკმაოდ არის მოწყობილი, ხოლო რაც შეეხება სასწავლო ნივთებს, თუმცა ცოტაოდენი ნაკლი არის, მაგრამ ეს ნაკლი თანდათან იქნება დაძლეული.

ლაბორატორული სისტემა დიდ აქტივობის გამოჩენას აიძულებს კურსანტს, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს პედაგოგიურ მოთხოვნილებებს. ლექციურ სისტემასთან მას აუცილებლად დიდი უპირატესობა აქვს და ეს უპირატესობა კიდევაც საგრძნობლად დაეტყო კურსანტების მომზადებასაც.

საინტერესო ხდება მიცემულების (задание) დამუშავება კურსანტების მიერ. მნახველი შეხედავს, რომ მიცემულების გარშემო მუშაობს კოლექტიურად 4—5 კურსანტი. ეს ჯგუფს წარმოადგენს—და თუ ჯგუფში რომელიმე კურსანტი უცოდინარია ამა თუ იმ საკითხში, მას აქ დახმარებას უწევს ამხანაგი. მასწავლებელი კი ინსტრუქტორის როლს ასრულებს, კურსანტების მიერ საკითხის დამუშავებაში იგი არ ღებულობს მონაწილეობას უშუალოდ, მაგრამ უკეთუ კურსანტის ძალა და ღონე ვერ შესძლებს ამა თუ იმ საკითხის გამორკვევას იმ შემთხვევაში მასწავლებელი ვალდებულია შესაფერისი ახსნა-განმარტება მისცეს.

კურსანტების მხრივ ლაბორატორული სისტემა დიდ უნარს მოითხოვს, მასწავლებლების მხრივ კი—დიდ ცოდნას.

ალ. გორგაძე.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

## ძაღლი სადარაჯო და ძიების სამსახურში.

### ᲫᲐᲚᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐ.

ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, თუ რა სარგებლობა მოაქვს ძაღლს სოფლად. ძაღლი გლეხის ერთგული დარაჯია. ის იცავს სახლს, ქონებასა და ნახირს. მაგრამ აი, სამხედრო საქმეში გაწვრთნილი ძაღლი არამც თუ მხოლოდ დახმარებას უწევს ადამიანს, ის ხშირად კიდევაც სწევს მის მაგივრობას განსაკუთრებით ისეთ მომენტში, როცა ადამიანს არ ძალუძს აასრულოს ესა თუ ის მუშაობა. ძაღლს მეტად განვითარებული აქვს სმენა და ყნოსვა. ამიტომ, სადარაჯო სამსახურის დროს ძაღლი ხშირად შეატყობინებს მტრის მოახლოებას. მეტად დიდ დახმარებას გაუწევს ძაღლი ადამიანს ღამით, ბურუსში, ტყეში, ბუჩქნარში, მაღალ ბალახში, ჩალამკალამში, ე. ი. ისეთ შემთხვევებში, როცა ხედვის არე შეზღუდულია. ასეთ შემთხვევებში ადამიანი უკვე რამოდენიმე ნაბიჯზე ვერაფერს ხედავს. სამაგიეროდ ძაღლი ადრე იგრძნობს გარეშე პირის მოახლოებას და დაბალი ღრენით, ყურების ცქვეტით და ბალნის ყალყზე აშლით ატყობინებს ადამიანს საფრთხეს, თავის მიბრუნებით უჩვენებს მიმართულებას, საიდანაც მოსალოდნელია საფრთხე. ამრიგად, გუშაგთან ყოფნის დროს ძაღლი იცავს საგუშაგოს უეცარი თავდასხმისაგან.

ასეთსავე დახმარებას გაუწევს ძაღლი მძიებელს სახელდობრ იმით, რომ ადრე ამჩნევს გარეშე პირის მოახლოებას ან და ადვილად დააყენებს მძიებელს მოპირდაპირის კვალზე.

ბოლოს ძაღლს შეუძლია გზის ჩვენება ტყეში ან ღამით. ძაღლს კარგი მეხსიერება აქვს და, თუ მან ერთხელ გაიარა რომელიმე გზით (სულერთია დღისით გინდ ღამით), ის მეორეხელ შეუცდომლად გაივლის იმავ გზით, მიუხედავად იმისა დღისით იქნება ეს თუ ღამით. ძაღლს უჭირს ცოტათი კვალის მიგნება წვიმისა და თოვლის შემდეგ. ვისაც ტყეში უვლია, იცის, თუ რა ადვილია ტყეში გზის დაკარგვა. ომში ხშირად მოხდება, რომ თავისიანებთან მისვლის მაგივრად შეეხეჩები მტერს და ჩავარდები ტყვედ. თუ ძაღლი გახლავს, ამ მხრივ უზრუნველყოფილი ხარ.

ამ რიგად, სადარაჯო და ძიების სამსახურში გაწვრთნილი ძაღლი შეუდარებელი მეგობარი და დამხმარე ადამიანისთვის.

პ.

# ᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ.

სანამ ჩამოვთვლიდეთ რადარანაირია ამ ჟამად თვითმფრინავები, საჭიროა მიუთითოთ ერთ მეტად საყურადღებო მოვლენაზე. საქმე ისაა, რომ თვითმფრინავის თვითეულ სახეს განსაკუთრებული დანიშნულება აქვს. ხოლო რაკი ეს ასეა, ამა თუ იმ თვითმფრინავს წარედგინება ესა თუ ის მოთხოვნილება. თვითმფრინავი უნდა იყოს ან მძიმე, დიდი, რათა მეტი ბარგი ასწიოს (ადამიანები, ბომბები) ან და უნდა იყოს მსუბუქი და სწრაფი. აი ყველა ეს მოთხოვნილებანი ჰქმნის აუცილებლობას ვიქონიოთ სხვა და სხვანაირი ფორმის თვითმფრინავი. ეხლა ვნახოთ, შეიძლება თუ არა იყოს თვითმფრინავი მუდმივი ფორმის, ერთი ტიპის (სახის), თუ ისინი იცვლებიან. როცა ჩვენ ვხედავთ ტეხნიკის დიდ ზრდას, ახალ გამოგონებებსა და სხვა, ჩვენ ვამჩნევთ, რომ თვითმფრინავებიც იცვლებიან. ხშირად ვკითხულობთ გაზეთებში ახალ გამოგონებათა და ცვლილების შეტანის შესახებ საერთოდ ტეხნიკაში და კერძოდ ავიაციაში. ეს ხდება იმიტომ, რომ თვითმფრინავის ტაქტიკა და აღნაგობა მჭიდროდაა დაკავშირებული ტეხნიკასთან, ხოლო ტეხნიკა (როგორც ამაზე წინად ვლაპარაკობდით) თანდათან მიდის წინ, ვითარდება და უმჯობესდება.

მაგრამ რაც არ უნდა გარბოდეს ტეხნიკა წინ, ჩვენ მაინც შეგვიძლია დღემდის არსებული თვითმფრინავები ამოცანებისა და დანიშნულების მიხედვით დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

თვითმფრინავი განმანადგურებელი, ე. ი. როგორც მას უწოდებენ, საჰაერო ბრძოლის თვითმფრინავი. შემდეგ მძიებელი თვითმფრინავი, რომელიც აწარმოებს ძიებას. შემდეგ თვითმფრინავი—დამკვრელი, რომელიც იერიშზე მიდის და ანადგურებს ცოცხალ ძალებს, და ბოლოს თვითმფრინავი—მებომბე, ე. ი. ისეთი, რომელიც უშენს ბომბებს მტრის ბანაკს და ამით ანგრევს ყველაფერს, რაც კი მოჰყვება მის ცეცხლს.

თვითმფრინავების ყველა ამ სახეს აქვს ერთგვარი თავისებურებანი თავის აღნაგობასა და შეიარაღებაში. თვითმფრინავების თვითეულ ჯგუფს აქვს ძირითადი ამოცანა, რომლისთვისაც ის აგებულია სპეციალურად. და სწორედ აქედანვე წარმოსდგება მათი ჯგუფებად დაყოფა.

თვითმფრინავის საბრძოლო მუშაობა მდგომარეობს იმაში, რომ თავისი ამოცანის ასრულებით ხელი შეუწყოს სხვა თვითმფრინავების ამოცანების ასრულებას, ე. ი. უნდა იყოს სრული კავშირი მათ მუშაობაში. ამიტომ, საბრძოლო მუშაობაზე გასულ ჰაეროპლანებს აქვთ თავთავისი წყობილება, სადაც თვითმფრინავის თვითეულ სახეს ეძლევა განსაზღვრული ადგილი.

რამდენადაც ავიაცია წარმოადგენს ქვეითი ჯარის, არტილერიის, ცხენოსან და სხვა ნაწილების დამხმარეს ბრძოლაში, იმდენად თვითეული მეომარი ახლოს უნდა გაეცნოს თვითმფრინავებს, მის მოწყობილობას, ტაქტიკასა და მათთან კავშირის საშუალებებს.

ი. ბ.

# ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

პარტიის წევრების მოვალეობისა და დისციპლინის ირგვლივ ჯერ კიდევ მეორე პარტიულ ყრილობაზედ იყო დასმული საკითხი, სადაც ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. მე აქ არ ავღნიშნავ ყველა იმ აზრთა სხვა და სხვაობას, რომელიც არსებობდა ამ ორ ფრაქციას შორის. ეს მიმინდვია იმ პირებისათვის ვისაც, აინტერესებთ ჩვენი პარტიის ბედ-იღბალი და ვინც ხოლის ჩვენს პარტიაში.

პარტიაში შემოსვლა და გახდომა კომუნისტათ ნურავის გონია, რომ პატარა საქმე იყოს. პარტიის წევრობა—კომუნისტობა ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი შენი პირადი ცხოვრება და ენერგია მოახმარო მუშათა და გლეხთა ინტერესების დაცვას. ყველა კომუნისტი ყოველთვის არის ორგანიზაციის აქტიური წევრი და ემორჩილება პარტიის უმაღლეს იორგანოების გადაწყვეტილებებს და გადაუხრელად ატარებს მას ცხოვრებაში. ლენინის სიტყვით კარგი კომუნისტი არის ის, რომელიც გადალახავს ყოველ წინააღმდეგობას და შეასრულებს პარტიის დავალებებს.

ჩვენს პარტიაში ყოველთვის თავს იყრიდა და იყრის ისეთი ელემენტები ანუ პიროვნებები, რომლებიც თავიანთი აქტიობით და საქმის ინტერესით ბევრათ წინ დგანან სხვა დანარჩენებისაგან. კომუნისტები ყოველთვის წინ მიდიან მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში და მეტ ბრძოლის უნარიანობას იჩენენ ყოველთვის და ყოველგან.

ჩვენი პარტია აგრეთვე მეტად დიდ ყურადღებას აქცევს პარტიის წევრის პოლიტიკურ მომზადების საკითხს. თუ კი კომუნისტს სათანადოთ მარქსისტულ—ლენინისტური მომზადება არ აქვს, ის სუსტად დაიცავს ოქტომბრის მონაპოვარს. ამიტომ, თუ კი რომელიმე ამხანაგი განიზრახავს პარტიაში შემოსვლას, ის, მისი სოციალური და ეკონომიური პირობების მიხედვით, პოლიტიკურადაც უნდა იქნეს მომზადებული.

გარდა ამისა ჩვენც პარტიაში ახალი წევრების მიღების დროს უნდა დავიცვათ მე-14 პარტ-ყრილობის დადგენილება, სადაც აღნიშნულია: პარტია არ უნდა გაიბეროს არა პროლეტარულ ელემენტებითო.

ამ დადგენილებით არ ესპობათ პარტიაში შესვლა სხვა არა პროლეტარულ ელემენტებს. მაგრამ ამავე დროს პარტიაში შემომსვლელები უნდა იყვნენ პოლიტიკურათ მომზადებული და დამსახურება უნდა ქონდეს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

ამავე დროს ამ პოლიტიკურ მომზადებას არ უნდა ჩამორჩეს რასაკვირველია კომკავშირისა და წ. არმიელთა შემადგენლობა. პარტიაში შემომსვლელებმა ანგარიში უნდა გაუწიონ იმას, რომ დღეს გასაბჭოების მეხუთე წელში მათ მეტი მოეთხოვებათ პოლიტიკურ გამოცდების დარგში, ვინემ ეს იყო ორი-სამი წლის წინათ. ამიტომ პარტიის ინტერესები მოითხოვს, რაც შეიძლება მეტი და მეტი პოლიტიკური ცოდნა მივაწოდოთ ყველა მოქალაქეს და კერძოთ მეტი მოვთხოვოთ ჩვენს პარტიაში შემომსვლელთ, რომ ამით ჩვენს პარტიის რიგებს პოლიტიკურათ მეტი მომზადებული პირები შევმატოთ.

აქვე მოვიყვან 14 ყრილობის დებულებას, სადაც ამხ. ანდრეევი აღნიშნავს პარტ-წესდების შესახებ; „მეტი ცვლილებათა მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ შეუმსუბუქოთ პარტიაში შესვლის ფორმალური პირობები მუშათა კლასს, ნაკლები ფორმალობა, მაგრამ მეტი მოთხოვნილება და ყურადღება ინდივიდუალური მიღების დროს“.

ამ პატარა ამონაწერის ერთი სიტყვა „მეტი მოთხოვნა“ გვავალებს, რომ პარტიაში შემომსვლელი იყოს პოლიტიკურად მომზადებული. პარტ-კომისია და მთელი ჩვენი ორგანიზაციები ვალდებული არიან აღნიშნული მუხლი, რომელიც ეხება პარტიაში მიღების საკითხს, სავსებით გაატარონ ცხოვრებაში.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ვინც პარტიაში შემოდის მას უარყოფითი არც ერთ მხარე არ უნდა ქონდეს, უნდა აინტერესებდეს ყოველდღიური ჩვენი საქმიანობა და რაც თავი და თავია, უნდა იყოს პოლიტიკურად სათანადოთ მომზადებული.

თუ ჩვენ გავამართლებთ ყველა ზემო აღნიშნულს უნდა ვიყოთ დავრწმუნებული იმაში, რომ ჩვენს პარტიაში მართლაც შემოვლენ ისეთი პირები, რომლებიც კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენს რიგებს და წინ წავლენ ლენინის მიერ დასახული გზით.

ს. ლომიძე.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ღია კრება.

4-ე ლეგ. 2-ე ათასეული.

იანვრის ბოლო რიცხვებში შესდგა ათასეულის კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრენ ათასეულის ყველა ...ელ არმიელები და უფ-პოლიტშემადგენლობა. კრებაზე გა...კებული იქნა მოხსენება 14-ე პარტყრილობის შედეგებზე, ...სისტემის მნიშვნელობასა და იყო აგრეთვე ზოგიერთი ...ნარე საკითხები.

პარტყრილობის შედეგებზე ვრცელი მოხსენებით გამო... და ამხ. ჰელიძე. განსაკუთრებით შეეხო ის ყრილობის რეზოლიუციას სოფლად მუშაობის შესახებ.

კრებამ ერთხმად მოიწონა რეზოლიუცია და დაადგინა ხელი შეუწყონ მის სისწორით გატარებას ჩვენი სოფლის სინამდვილეში.

ტერსისტემის მნიშვნელობაზე ილაპარაკა ამხ. თელიამ. ის შეეხო თუ როგორი შეღავათების მომცემი არის ეს სისტემა სოფლის მეურნეობისათვის და როგორი დახმარების გაწევა შეუძლია მას ჩვენს საერთო აღმშენებლობის საქმისათვის. მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია.

მიმდინარე საკითხებში წამოიჭრა ათასეულის რედკოლეგიის გადახალისების საკითხი. კრებამ ეს საჭიროდ სცნო. არჩეული იქნა რედკოლეგიის ახალი შემადგენლობა, რომელსაც დაევალა ორკვირეული კედლის გაზეთის გამოცემა.

ამასთანავე შემოტანილი იქნა წინადადება პასუხისმგებელ სამხკორის არჩევის შესახებ ათასეულში, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს სამხკორთა წრეები.

წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

სამხკორი ლავრო.

## პირველი კომუჯრედის მუშაობა.

მე-4 ლეგიონი.

5 თებერვალს შესდგა 1-ლი ათასეულის № 1-ლი კომუჯრედის კრება, სადაც დაესწრო პარტიის წევრები, კანდიდატები და ახ. კ. კ. წევრები. დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი წითელარმიელის უფლებებისა და შეღავათების შესახებ.

მოხსენება გააკეთა ამხ. ქაჯაიამ, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას, თუ როგორი შეღავათებით სარგებლობენ წითელარმიელები და როგორი უპირატესობა აქვს წითელარმიელს დაქირავებულ—ბურჟუაზიული არმიელების ჯარისკაცთან შედარებით.

თანამოხსენებლად გამოვიდა ამხ. ტაბუკაძე, რომელმაც აღნიშნა თუ როგორი დახმარება ეწევა წითელარმიელთა ოჯახებს ადგილობრივი ხელისუფლებისაგან—როგორიც არის საექიმო დახმარება, საბინაო, ხე-ტყის იაფ-ფასებში მიწოდება, სასოფლო-სამეურნეო გადასახადებში, მიწის დამუშავებაში და სხვა.

იყო მრავალი შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებლებმა სათანადო პასუხი გასცეს.

დასასრულ კრებამ განიხილა პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებები.

კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

პარტკორი ლექსო.

## ჩვენი საქმიანობა.

4-ხე ლეგიონი.

როცა დამთავრდა 1904 წელში დაბადებულთა წვევამდელების მომზადება, ჩვენი მე-3-მე ათასეულის უფ-პოლიტშემადგენლობა შეუდგა სამხედრო კუთხეების მოწყობას. მე-7-დე ასეულმა მოაწყო სამხედრო კუთხეები, ხაშურის, სურამის ბორჯომის სამოქალაქო სამკურნალოებში და სოფელ ხციSის და სოფელ ქვიშხეთის ქოხ-სამკითხველოებში.

მე-8-ე ასეულმა მოაწყო სამხედრო კუთხეები შემდეგ ადგილებში: თვით ახალციხეში, კომ კავშირის კლუბში და სოფელ ვალეშის ქოხ-სამკითხველოში. განზრახულია მოწყობა სამხედრო კუთხეების სოფელ აწყურში და აბასთუმანში.

მე-9-რე ასეულმა მოაწყო სამხედრო კუთხეები შემდეგ ადგილებში: ახალქალაქში, კომკავშირის კლუბში, სოფელ დილისკაშის ქოხ-სამკითხველოში და სოფელ ხოსპიაშის ქოხ-სამკითხველოში. განზრახულია მოეწყოს სამხედრო კუთხეები სოფელ ბარალეთში, სოფელ ალასანში, ვაჩიანში და სხვა სოფლებში, ოცი ვერსის რადიუსში.

სამხედრო კუთხეების მოწყობის შემდეგ კი შევუდექით მეცადინეობას.

თითეულ სამხედრო კუთხეზე მიმაგრებულია თითო რწმუნებული-ცვალებად წითელ არმიელი და თითო ოც მეთაური. მიმაგრებული მეთაურები სამხედრო კუთხეებზე ყოველ კვირაში ერთხელ მიდიან და ატარებენ მეცადინეობას და ექვსი დღის განმავლობაში კი უტოვებს რწმუნებულ-ცვალებად წითელ არმიელს ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა იმუშავონ ამ ექვსი დღის განმავლობაში.

ასე სწარმოებს ჯერ-ჯერობით მუშაობა ჩვენს ათასეულში. მომავალში უფრო მეტი ენერგიით შევუდგებით მუშაობას.

სამხკორი ისარი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ჩვენი საკავშირო კომისიის მუშაობა.

ქართული სამხედრო პოლიტიკური სკოლა

10 თებერვალს შესდგა სკოლის საკავშირო კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა საკავშირო სექციების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი თებერვლისთვის სამუშაო გეგმა, რომელიც მოწონებული იქნა მთლიანად.

სკოლას მჭიდრო კავშირი ქონდა და აქვს ქ. ტფილისის წყალსადენის მუშებთან, რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშებთან და საქსოვ ქარხნის მუშებთან, საშეფო სოფელ ცოცხნარასთან და დიდ-თონეთთან. სამხედრო ნაწილების ორგანიზაციებთან: წითელ არმიის და ფლოტის სახლთან, ქართულ მეთაურთა სკოლასთან, რუსულ სანაპირო სკოლასთან, არმიის საოლქო პოლიტიკურ სკოლასთან, ტფილისის რუსულ მეთაურთა სკოლასთან, ქართულ პირველ ლეგიონთან და 6 ტერიტორიალურ ლეგიონთან. აგრეთვე წერილობითი კავშირი ქონდა აზერბეიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების სამხედრო პოლიტიკურ სკოლებთან.

საკავშირო კომისიას გადაწყვეტილი აქვს: მუშათა ორგანიზაციებში გარდა სხვა და სხვა კულტურულ და განმანათლებელ მუშაობისა ფართოდ აწარმოოს მათი გასამხედროების მიზნით მეცადინეობა და აგრეთვე მოაწყონ მათ კლუბებში სამხედრო კუთხეები.

საშეფო სოფლებთან სკოლას დღემდის აქვს მჭიდრო კავშირი, რომელიც გამოიხატება: ჟურნალ-გაზეთების, ლიტერატურისა და წერილების გაგზავნაში; გადაწყვეტილია კლუბის საშვალებით სხვა დახმარებაც გაეწიოს სოფლებს.

სამხედრო ნაწილებთან, განსაკუთრებით სკოლებთან ჩვენი კავშირის ამოცანა არის გავეცნოთ სამოსწავლო საქმის დაყენებას და ცხოვრების პირობებს. დიდი ყურადღება გვაქვს მიქცეული ტერ-ნაწილებზე; განზრახულია ავიღოთ შეფობა მე-6 ტერ-ლეგიონის ერთ-ერთ ასეულზე და მოუწყოთ კუთხე.

აზერბეიჯანის და სომხეთის პოლიტიკურ სკოლებთან მართალია ცოცხალი კავშირი არა გვაქვს, მაგრამ მიწერ-მოწერით კარგად ვაცნობთ ერთმანეთს ჩვენს ჭირვარამს.

ჯ. ქუთელია.

## მეთაურები კარგ დამოკიდებულებაში არიან ჩვენთან.

1-ლი ლეგიონის სკოლა.

3 კვირაა მას შემდეგ, რაც ლეგიონში დაიწყო მეცადინეობა. სკოლის კურსანტები ენერგიულად ეკიდებიან სწავლას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეთაურების დამოკიდებულება ჩვენთან, რომლებიც იშვიათი ენერგიულობით და მონდომებით გვამეცადინებენ. თავისუფალ საათებში—ჩვენთან არიან და გვესაუბრებიან ამა თუ იმ თემებზე.

ჩვენი მეთაურების ენერგიული მუშაობით მოეწყო სკოლაში სასადილო. აღარ გვიხდება ლეგიონის საერთო სასადილოში სიარული და დროს გაცდენა.

ჩვენი გულწრფელი მადლობა მათ ასეთი მოპყრობისათვის.

ვეცდებით გავამართლოთ მათი და საბჭოთა ხელისუფლების იმედები და ჩვენც შევსძლოთ მშრომელი ხალხისათვის ღირსეული სამსახური.

სამხკორი ვ. მშვენიერაძე.

## მე-2-ე ქართულ დივიზიის სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების მუშაობიდან.

მე-2-ე დივიზიის სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭო, 16 კაცისაგან შემდგარი. დივიზიის ყველა ნაწილებში დაარსებულია სამხედრო-სამეცნიერო და სამხედრო ცოდნის წრეები. სამეცნიერო წრის მუშაობაში ჩაბმულია მეთაურების 75 პროც., მათგან აქტივია 35-40 პროც. ვინაიდან ჩვენს დივიზიას უხდება სპეციფიური მუშაობა, ვიდრე კადრის დივიზიას, ამიტომ მეთაურები ძლიერ დატვირთული არიან მუშაობით. უკანასკნელნი მაინც ნახულობენ დროს და ეწევიან თავის ცოდნის გაღრმავებას.

ნაწილებში სამხედრო სამეცნიერო წრე არსებობს შტაბებთან და მათი უჯრედები კი ათასეულის პუნქტებთან. შეძლების დაგვარად მეთაურები იკრიბებიან ათასეულის პუნქტებზე და იქ ატარებენ მეცადინეობას, ყოველი ათასეულის უჯრედი სცდილობს გამოიტანოს თავის დამუშავებული თემები საერთო ლეგიონის მეცადინეობაზე.

პრინციპი წრეში ჩაწერის დამყარებულია სურვილზე და არავითარი ზეგავლენა უფროსებისაგან არ არის, პირიქით ყოველი მეთაური შეგნებულია იმდენად, რომ სცნობს სარგებლიანობას სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში.

სამხედრო ცოდნის წრეებს იდეურ ხელმძღვანელობას უწევენ სამხედრო-სამეცნიერო წრეები. კლუბს და ბიბლიოთეკას აქვს მჭიდრო კავშირი წრესთან, მაგალითად, როდესაც ბიბლიოთეკა იძენს სამხედრო წიგნებს, მიმართავს სამხედრო-სამეცნიერო წრეს და ის უთითებს საჭირო წიგნებს, რაც მოდის სისრულეში შეძლების დაგვარად.

ერთ-ერთ ნაწილის წრის მიერ დამუშავებულია თემები:

1. სათათრეთის ჯარის ორგანიზაცია, 2. სპარსეთის ჯარის ორგანიზაცია, 3. სროლის საქმის სწავლების მეთოდის გაუმჯობესება, 4. ჯგუფური მეთოდის სწავლება, 5. შეტევითი ბრძოლა, 6. ასეული შეტევითი ბრძოლაში, 7. მთებში მოქმედიბა, 8. კავშირის ორგანიზაცია სამთო ომში, 9. მძიმე ტყვიამფრქვევის ცეცხლის ტაქტიკური თვისება, 10. ქიმიური ბრძოლის საშუალებანი, 11. პოლიტ. მუშაობა ლაშქრობის, დასვენების და ბრძოლის დროს, 12. გასაბჭოებულ ტერიტორიაზე პოლიტ-მუშაობა.

18 თებერვალს მოწვეულია მე-2 დივიზიის სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების კონფერენცია, რომლის

დღის წესრიგია:

1. დივიზიის საბჭოს ანგარიშები, 2. მოხსენებები ადგილებიდან, 3. ჯარის გარეშე მუშაობა, 4. დელეგატების არჩევა არმიის კონფერენციისათვის, 5. დივსაბჭოს არჩევა.

კონფერენციას უსურვოდ ნაყოფიერი მუშაობა.

ქ. გამრეკლიძე.

## ჩვენი მიღწევები.

6-სე ლეგ. მეთ. სკოლა.

როგორც კი დაარსდა სკოლა, დიდი ყურადღება მიექცა იმ თავითვე სკოლის გარეშე მუშაობას. ამ მიზნით სხვა და სხვა ბირთვებში ჩათრეული იქნენ მრავალი უპარტიო და პარტიული ამხანაგები.

აღსანიშნავია განსაკუთრებით პოლიტ-ბირთვის მუშაობა, რომელშიდაც ირიცხება 30-დე უპარტიო და ახკომკავშირელები. ბირთვის ხელმძღვანელებს სკოლის კომისრის მიერ ეძლევათ თვიური სამუშაო გეგმა, რომელიც შემდეგ იყოფა თემებად და ნაწილდება ბირთვის აქტიურ წევრებზე და დამუშავების შემდეგ გადმოაქვთ სკოლის საერთო კრებებზე.

აღსანიშნავია აგრეთვე საერთო საგანმანათლებლო და მკითხველთა ბირთვის მუშაობა.

გამოყოფილი არიან ამხანაგები, რომლებიც აწარმოებენ მცირე მცოდნეებთან ხმამაღალ კითხვას. ასე შეუჩერებლად ვაწარმოებთ მუშაობას და იმედი გვაქვს ახლო მომავალში სავსებით მივაღწევთ დასახულ მიზანს.

წ. არმ. ი. ჭოჭუა.

## საუბარი საჰაერო ფლოტის შესახებ.

მეთაურთა გაერთ. სკოლა.

8 თებერვალს სკოლის ბატარეის ლენინის კუთხეში გაიმართა საუბარი საჰაერო ფლოტის განვითარების შესახებ საბჭოთა კავშირში და მის მილწევებსა და მნიშვნელობაზე ომისა და მშვიდობიან დროს. საუბარი მეტად შინაარსიანი იყო. კურსანტების მიერ მიცემულ მრავალი შეკითხვებისაგან კიდევ უფრო ფართოდ გაშუქდა საკითხი და სრულიად დააკმაყოფილა კურსანტები.

მეორე საუბარი ჩატარებული იქნა ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ.

ჩვენს ლენინის კუთხეში საერთოდ ნაყოფიერი მუშაობაა. კუთხე შესდგება 8 განყოფილებისაგან და ყველაში სისტემატიურად სწარმოებს მეცადინეობა. სამეცადინო დღეთ გვაქვს გამოყოფილი ორშაბათი. კუთხის საქმიანობას დიდათ უწყობს ხელს აგრეთვე ახკომკავშირის უჯრედიც.

ერთი გარემოებას აქვს მხოლოდ ადგილი: მეცადინეობის დროს ყოველთვის დიდი ხმაურობაა. ამას ყურადღება უნდა მიექცეს თითეული ჩვენგანისაგან და ერთხელ და სამუდამოთ მოუღოთ ბოლო.

სამხკორი შრაპნელი.

## როგორ მუშაობს ჩვენი ბიბლიოთეკა.

ცხენოსანი ლეგიონი.

ლეგიონში ძლიერ ცოცხლად მიმდინარეობს საბიბლიოთეკო მუშაობა. ამ უკანასკნელ ხანებში მისი საშვალებით გატარებული იქნა სხვა და სხვა საყურადღებო კამპანიები და მათ შორის გაზეთების გამოწერის კამპანიაც. წითელ არმიელები ერთსულოვნად იწერდენ გაზ. „წითელ არმიელს,“ „ახალ სოფელს,“ „ახალგაზრდა კომუნისტს“ და სხვა. სულ გამოიწერეს 148 კაცმა უმთავრესად თავიანთ სოფლებისათვის.

ბიბლიოთეკა დიდ ყურადღებას აქცევს ლენინის კუთხეებში საბიბლიოთეკო მუშაობის წარმოებას. ყოველ ათ დღეში კუთხეებში ერთხელ იცვლება წიგნები და ჟურნალები. წიგნები კუთხეში იგზავნება წითელ არმიელების მოთხოვნილებისდა-მიხედვით.

თვეში ერთხელ ეწყობა ესკადრონების ბიბლიოთეკარების თათბირი და ეძლევათ სათანადო დირექტივები მომავალი მუშაობისათვის.

თითეული კუთხე დღეში ღებულობს სულ 21 ცალ სხვა და სხვა გაზეთებს.

ბიბლიოთეკა არჩევს აგრეთვე პოლიტმეცადინეობისათვის შესაფერ მასალებს და ურიგდებათ ჯგუფების ხელმძღვანელებს. მაგრამ კომკავშირის სამეცადინოთ საჭირო მასალები ყოველთვის არ მოგვეპოვება, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ლეგ. ორგანიზატორს და ჯგუფების ხელმძღვანელებს.

ლეგიონის სამხ. კომისარი დიდი ყურადღებით ეკიდება ბიბლიოთეკას, ეხ არება საჭირო თანხის გამოტანაში და წიგნების შეძენაში, ამხანაგის დახმარებით ორი თვის განმავლობაში შევიძინეთ 320 ცალი წიგნი, გარდა იმ თანხებისა, რომელსაც ვღებულობთ არმიის მომარაგებიდან.

სამხკორი სინათლე.

# საბჭ. ხელახალი არჩევნები საქართველოში.

**ტფილისის მაზრაში.**

— **ავჭალის თემში.** არჩევნები დაიწყო 9 თებერვალს. მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენდა არჩევნებისადმი. ქალების მონაწილეობა არჩევნებში განსაკუთრებით ცხოველი იყო სოფ. ცხვარიჭამიას და ჩინანთკარში.

— **სოფ. თეზამში** — ჩატარდა არჩევნები 10 თებერვალს. აღნიშნულ სოფელში უმთავრესად სცხოვრობენ ხევსურები და წელს პირველი შემთხვევა იყო, რომ ხევსურთა ქალები ცხოველ მონაწილეობას ღებულობდენ არჩევნებში.

— **10 თებერვალსვე** ჩატარდა არჩევნები კავლანში და ლელუბანში.

**გორის მაზრაში.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო ცნობა, რომ გორის მაზრაში არჩევნები დაიწყო 10 თებერვალს. მოსახლეობა მხურვალე მონაწილეობას ღებულობს არჩევნებში.

**დუშეთის მაზრაში.**

არჩევნები დასრულდა ანანურის თემში. არჩევნებზე გამოცხადდა მოსახლეობის 65 პროცენტი.

არჩეულია 2 კომუნისტი, 4 კანდიდატი, 1 ქალი, 1 კომკავშირელი და 19 უპარტიო.

# წრეებში ყველა ეწერება.

**1-ლი ლეგიონის ქვეითა სამთო ბატარეია.**

ჩვენი ბატარეია, კარგი ხელმძღვანელების მეოხებით ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. წითელ არმიელები საკმაოდ მოლონიერდენ, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური განვითარების მხრივ. ბატარეიაში დაარსებულია სხვა და სხვა წრეები. წითელ არმიელები ერთსულოვნად ეწერებიან ყველაში და გულმოდგინეთ მეცადინეობენ. განსაკუთრებით აქეზებს ამხანაგებს მუშაობაზე პოლიტხელის ენერგიული საქმიანობა, რომელიც არც ერთ წუთს არ გვცილდება და მუდამ ჩვენთან არის. ის გვესაუბრება და გვაცნობს თავის აზრს ამა თუ იმ საყურადღებო საკითხებზე. ხშირად თვითონვე გვიკითხავს სხვა და სხვა წიგნებს და თან იძლევა გაუგებარი აზრების განმარტებას.

სამხკორი ლუხუტაპირელი.

# უცხოეთის არმიებში

**ვისგან შესდგება ჩინეთის არმია.**

ჩინეთში არ არის დაწესებული სავალდებულო სამხედრო სამსახური მოსახლეობისათვის. არმია შესდგება დაქირავებული ჯარისკაცებისაგან. როდესაც რომელიმე გენერალს დასჭირდება თავისი არმიის შევსება, ის გზავნის ჩინეთის ქალაქებსა და სოფლებში თავის ოფიცრებს, რომლებიც ქირაობენ ჯარისკაცებს.

ჩინეთში წარმოებული მუდმივი ომები მოითხოვს მუდმივ შევსებას; და როდესაც მოხალისეები არ ყოფნის არმიას, ჩინეთის გენერლები პოლიციის შემწეობით იჭერენ ქუჩებში ცუდათ ჩაცმულ ახალგაზრდებს და ძალით აგზავნიან არმიის რიგებში.

ვინ მიდის სამსახურისათვის ჩინეთის არმიაში? პირველ ყოვლისა სხვა და სხვა დამნაშავე ელემენტები, რომლებიც ომის დროს ეწევიან საშინელ ძარცვა-გლეჯას. მრავლად არიან არმიაში აგრეთვე ხუნხუზები (ჩინელი ყაჩაღები) განსაკუთრებით ჩან-ძო-ლინის არმიაში. შემდეგ ჩინეთის არმიას ავსებს აგრეთვე მშვიდობიანი მცხოვრებლები, გლეხები და უმუშევრები. ჩინელებს არ უყვართ სამხედრო სამსახური, მაგრამ სიღარიბე და გაჭირვება აიძულებთ მათ იმსახურონ არმიის რიგებში და თავი იხსნან შიმშილისაგან.

ცხადია ასეთი არმია არ შეიძლება იყოს მტკიცე და ძლიერი. ხშირია შემთხვევა, რომ ერთი გენერლიდან მეორეს მიაშურებს ჩინელი ჯარისკაცი. ვინც მეტს მისცემს ისიც იმის მსახურია. ხშირად დეზერტირობენ და გარბიან ტყეში იარაღით საყაჩაღოთ.

ჩინეთის არმიის ოფიცრები მთლიანად შესყიდულია უცხოელი კაპიტალისტების მიერ. ოფიცრები მსახურებენ იმასთან ვინც მეტ ჯამაგირს იძლევა. ასეთია გენერალ ჩჟან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს ოფიცრობა.

სახალხო არმიებში, რომლის მეთაურადაც ითვლებოდა გენერალი ფინ-იუ-სიანი, სულ სხვაგვარი მდგომარეობაა. სახალხო არმიები იბრძვიან ჩინეთის განთავისუფლებისათვის უცხოელებისაგან. ამას დაწვრილებით უხსნიან ჯარისკაცებსაც. აქ მას ესმის თუ რისთვის მსახურობს. უცხოელების ძალადატანებაზე გამარჯვება უზრუნველყოფს ჩინელი გლეხისა და მუშის განთავისუფლების საქმეს. მაგრამ სახალხო არმიები ჯერ კიდევ ახალგაზრდანი არიან.

კიდევ უფრო შეგნებაა გომინდანის პარტიის არმიაში. ამ არმიის ზოგიერთი ნაწილები პირდაპირ ისეთებისაგან შესდგებიან, რომლებიც გულწრფელად იბრძვიან ჩინეთის მშრომელთა განთავისუფლებისათვის. გომინდანის არმია მცირე რიცხოვანია, მაგრამ მან დაამტკიცა თუ როგორი სიძლიერის შემცველია ის. მას არა ერთხელ დაუმარცხებია თავისი მტრები. გომინდანის არმია თანდათან იმსახურებს ჩინეთის მშრომელი ხალხის ნდობას. ისე თანაგრძნობით ეკიდება ჩვენს წითელ არმიას და მთელ საბჭოთა კავშირს.

# ამბები სოფლებიდან

— **5 წლისთავი.** ახალქალაქის აღმასკომმა შეიმუშავა გეგმა მაზრაში საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლათ.

— **სიღნაღის სამაზრო აღმასკომს** აღრიცხვაზე აყავს წითელ არმიელთა ოჯახები.

— **ქოხ-სამკითხველო და თეატრი.** სოფ. ტიძრისის გლეხკომმა ახალც. მაზრა. მოაწყო ქოხ-სამკითხველო და თეატრი.

— **ბორჩალოს აღმასკომმა** დაადგინა მოახდინოს საექიმო პუნქტების გამოკვლევა და მიიღოს ზომები ახალი საექიმო პუნქტების გასახსნელათ.

— **დახმარება გლეხებს.** ახალქალაქის გლეხკომს შარშან უღარიბესი გლეხებისათვის დახმარებათ მიუცია 900 ფუთი ხორბალი.

— **ტფილისის მაზრის გლეხკომების** საერთო ქონება ამ ჟამად უდრის 89.200 მანეთს.

# ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

# ახალი ამბები.

— **ქართული ენის და საქმის წარმოების კურსები** გაიხსნა განათლების კომისარიატის ნებართვით და გამოცდილ პედაგოგთა ხელმძღვანელობით.

— **შრომის კომისარიატის** საინსპექტორო კურსები დაამთავრა 11 კაცმა.

— **ახალი ინსტიტუტი.** ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან იხსნება ბუხჰალტერთა და ექსპერტთა ინსტიტუტი.

— **საბინაო ამხანაგობა** აგებს მუშათა სახლებს ორთაჭალაში, ვერის და პლეხანოვის რაიონში. სახლები იქნება სამ სართულიანი.

— **თამბაქოს გასატანათ.** სიღნაღის საკრედიტო ამხანაგობები ამზადებენ 25 ათას ფუთ თამბაქოს საზღვარგარეთ გასატანათ.

— **მუშათა მდგომარეობის** გასაუმჯობესებელ ფონდის გასაძლიერებლათ საქ. სახ მეურნეობის უმ. საბჭომ გადასდო 73.889 მან.

— **შრომის ინსპექციამ** დაადგინა მიიღოს ზომები ზაჰესის მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**სეისმოგრაფი პატარა ყუთში.**

ამას წინად ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო აკადემიის ფიზიკო-მატემატიკური ინსტიტუტის ფიზიკოს ნიკიფოროვმა დაამზადა ახალი სეისმოგრაფი (აპარატი, რომლის საშვალებით შესაძლებელია ძლიერ დაცილებულ ადგილში მომხდარ მიწისძვრის გაგებაც კი), რომელსაც უდიდესი მგრძნობელობა აქვს.

პროფ. ნიკიფოროვის სეისმოგრაფის გამდიდებლობა აღწევს 2000-მდე და იწონის 6 გირვანქას. აპარატი იმდენად პატარაა, რომ ადვილად თავსდება პატარა თამბაქოს ყუთშიც კი.

ძველი სისტემის და საზოგადოთ აქამდე არსებული სეისმოგრაფები ძლიერ დიდი და მძიმენი არიან.

გამოჩენილი სეისმოგრაფი, რომელიც ამას წინად იქნა დამზადებული გერმანელ მეცნიერის ვილერტის მიერ, იწონის 17 ტონამდე და იძლევა გამდიდებლობას 200—250-მდე. უკანასკნელ ხანებში ვილერტიმ დაამზადა აგრეთვე ისეთი სეისმოგრაფიც, რომლის გამდიდებლობა — მგრძნობელობა უდრის ერთ მილიონს, მაგრამ ეს აპარატი იმდენად დიდია, რომ მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა ყოვლად შეუძლებელია.

საზღვარ გარედ ფიქრობენ, რომ პროფ. ნიკიფოროვის პენია სეისმოგრაფი სეისმოლოგიაში აუცილებლად პირველ ადგილს დაიჭერსო.

როგორც ცნობილია, ყველა სახელმწიფოების სეისმიური სადგურები სარგებლობენ რუსი გამომგონებლის — გალიცინის სისტემის სეისმოგრაფებით. ნიკიფოროვის უკანასკნელი მიღწევა ერთხელ კიდევ საბოლოოდ მიაკუთვნებს საბჭოთა კავშირის მეცნიერებს პირველ ადგილს და უფლებას სეისმოლოგიაში—(მეცნიერება, რომელიც სწავლობს მიწის ძვრებს და სხვა მსგავს მოვლენებს).

# პასუხი შეკითხვებზე.

**გოგრიჩიძეს.** ზედმეტ მსახურ ზემდეგი პირველ წელიწადში ჯამაგირს ღებულობს 33 მან., მეორეში—37 მან., მესამეში—42 მან. და მეოთხეში—48 მან. (ბრძანება № 1050-25 წ.)

**გოგ შელიშვილს.** უფროსი კაპტინარმუსი ჯამაგირს იღებს მეშვიდე ხარისხიან ტარიფით თვეში—3 მან. 50 კ., უმცროსი მეოთხე ხარისხით—2 მან. 20 კ. (ბრძანება № 1300-23 წ. და № 111-24 წ.)

**ტოგონიძეს.** წ.-ა. წელიწადში ეკუთვნის სამი ცხვირსახოცი.

**მიტროშვილს.** დურგლები თვეში იღებენ ჯამაგირს 1 მან. 60 კ.

# ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ამხ. ამხ. რუხაძის, ქალიაშვილის და შველიძის გამოწვევისა, ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ სამ ცალს სამი თვით, ხონის რაიონის სოფ. ღანირ-ქვიტირის ქოხსამკითხველოსათვის და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

მე-4 ლეგიონიდან:

ასმეთაურს ამხ. აბაშიძეს, ლოლაძე კოწიას, გორის ქალაქის კომენდანტს ამხ. სისაურს და ცაგარეიშვილ რ... დენს.

მე-3 ლეგიონიდან:

მეთ. კენჭაძეს, ვაჩიბერაძეს და გოგოძეს.

მე-6 ლეგიონიდან:

ფანცხავა დავითს, ქანთარიას და გვალიას.

მეთაურთა სკოლიდან:

მასწავლებლებს ამხ. ამხ. არჯევანიძეს, ქებაძეს და გელოვანს. მეთაურ რაზმაძეს.

ოცმეთაური ალ. მიქაძე.

---

**დოლიძეს.** მიმართეთ კომ-უჯრედს.

**გა—შვილს.** ხე-ტყის მიღება შეგიძლიათ 25-75% დაკლებულ ფასებში (უფასოდაც) ბრძანება № 1520-24 წ., № 768-25 წ.

**დვალიშვილს.** მოკლე ვადიან შვებულებაში შეგიძლიანთ წასვლა მხოლოდ უფროსის ნებართვით და ისიც განსაკუთრებულ ოჯახურ მიზეზების გამო.

**ხვიჩიას.** ბინის ქირის შესახებ უნდა მიმართოთ სენაკის კომუნალურ განყოფილებას.

**ლილუაშვილს.** უვადო შვებულებაში წახვალთ მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

**მ—შვილს.** 1925 წ. გამოწვეულები სარგებლობენ შეღავათებით 1925—26 წ. მთლიანი სას.-სამ. გადასახადის დროს.

**ო—ვას.** ოჯახური მდგომარეობა არ განთავისუფლებთ.

**წ.-არმიელს.** ორი კვირის სალიკვიდაციო ფულის მიღების მეტი არ შეგიძლიათ. (კანონთა კოდექსი წ. ა. შეღავათების შესახებ მუხ. 29).

**მარტვილელს.** ბინიდან გამოსახლება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

**რ—ას.** სასამართლოს წესით შეგიძლიათ დაიბრუნოთ მიბარებული ტანსაცმელი.

**მატახურიას.** ჯარში გაწვევის ერთი თვის შემდეგ დამხმარე სალარო დახმარებას არ აღმოგიჩენთ.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. წ. არმიელს** (3-მე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია სპეკულიანტობაზე გადაეგზავნა ლეგიონის სამხედრო კომისარს ზომების მისაღებათ.

**ამხ. კ. დუმბაძეს** (ახალსენაკი) 31 მან. და 55 კაპ. მივიღეთ.

**ამხ. სიმართლეს** თქვენი წერილი გადაეგზავნა ლეგიონის სამხკომს.

**ამხ. ხარებაშვილს** თქვენი წერილი 3-მე ლეგიონის შესახებ გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. კბენოს** თქვენი ლექსი კარგი იქნება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. კ. როყუას** კორესპონდენცია მესამე ლეგიონის მეთაურების-გამოშვების შესახებ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

# ვის აქვს საწინაალმდეგო?

1-ლ ქართულ ლეგიონის 3-მე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ კანდიდატებათ შემდეგ ამხანაგებს:

მურვანიძე სამსონს (კომკავშირის წევრი), ურთმელიძე ვასილს (კომკავშირელი) და შახნაზაროვ რუბენს (უპარტიო).

თუ ვინმეს რაიმე საწინაალმდეგო გაქვთ მათ შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ დღიდან გამოცხადებისა ერთი კვირის განმავლობაში.

მე-3 ასეულის კომუჯრედის მდივანი კ. ქაჯაია.

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგ. უნც. მეთ. მოსამზადებელ სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის რიგებში პარტკანდიდატათ შემოსვლის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. ჟორჟოლიანი ალექსანდე (კომკ. წევრი), 2. ჩიჩუა პავლეს (უპარტიო), 3. გოლეთიანი არსენა (კომკავ. წევრი), 4. კოჩიევი გრიგოლ (კომკ. წევრი), 5. კობახიძე ვლადიმერ (უპარტიო), 6. ბაცკია რაჟდენ (კომკ. წევრი), 7. დიდებაშვილი იასონ (კანდიდატი) სურს გადარიცხვა კ. პ. წევრათ.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინაალმდეგო აღნიშნულ ამხანაგების პარტიაში მიღებაზე, გთხოვთ გვაცნობოთ კომ-უჯრედში.

ნ. დ. ს. ტ.

სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3.

დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი